ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი №01-07/09

დაბა ქედა, **10 აგვისტო, 2020 წელი**

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 11:25 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან დევაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ვაჟა ბოლქვაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ტარიელ მანველიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
ლაშა ბერიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-07/09

ბიუროს სხდომა

10 აგვისტო 2020 წელი

№	სახელი გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 აგვისტოს №01-07/09 ბიუროს სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1.,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

2.ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული ქონების (საცხოვრებელი ბინის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

3.ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის II კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

4.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 აგვისტოს №01-06/09 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრა.

ბიუროს სხდომის დღის-წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

შემდეგ ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 აგვისტოს №01-07/09 ბიუროს სხდომის დღის-წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1.მოისმინეს: ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი (შიდა დოკუმენტი:№124-04, 30.07.2020 წელი) და განმარტა, რომ მიზანშეწონილია ბიუროს სხდომაზე განისაზღვროს კომისია, რომელმაც საკრებულოს მორიგ სხდომაზე უნდა წარმოადგინოს განკარგულების პროექტი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და განსაზღვროს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი კომისია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/09 მორიგი სხდომის დღის-წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე;

3.დაევალოს საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას მოამზადოს განკარგულების პროექტი.

2.მოისმინეს: ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული ქონების (საცხოვრებელი ბინის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული ქონების (საცხოვრებელი ბინის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შემოსული დოკუმენტი: №68/04, 29.07.2020 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/09 მორიგი სხდომის დღის-წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების მ/შ გულადი წითელაძე, ხოლო თანამომხსენებელად საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე.

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის II კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის II კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე საკითხი (შემოსული დოკუმენტი: №70/04, 31.07.2020 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/09 მორიგი სხდომის დღის-წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე,ხოლო თანამომხსენებელად საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე;

3.დაევალოს საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას მოამზადოს განკარგულების პროექტი.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 აგვისტოს №01-06/09 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი და საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული ქონების (საცხოვრებელი ბინის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების მ/შ გულადი წითელაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და

ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის II კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 აგვისტოს №01-06/09 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის წარმოდგენილი პროექტი;

2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა (საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება);

3. დამტკიცებული დღის-წესრიგის პროექტი გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.keda.ge.

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწაროებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში ნონა ბერიძე